KA020151839428915

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05;2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 04/6438

14 / სექტემბერი / 2015 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს.

დანართი: 59 ფურცელი.

მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
№ 63976
14.09.2015
60 ფურცელი

პროექტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

ქ. თბილისი

№ 2015 წლის

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6³ მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქობულეთში, აბაშიძის ქუჩა N128-ში მდებარე 149796.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: N01/1-444.85 კვ.მ, N02/3-1262.75 კვ.მ, N03/3-1958.8 კვ.მ, N04/1-193.51 კვ.მ, N05/1-101.36 კვ.მ, N06/1-184.01 კვ.მ, N07/1-56.11 კვ.მ, N08/1-16.59 კვ.მ, N09/1-27.58 კვ.მ, N10,/1-20.35 კვ.მ, N11/1-20.88 კვ.მ, N12/1-12.03 კვ.მ, N13/1-237.53 კვ.მ, N14/1-12.2 კვ.მ, N15/1-30.74 კვ.მ, N16/1-46.91 კვ.მ, N17/1-34.78 კვ.მ, N18/1-1.23 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N20.42.09.349) და მასში განთავსებული მოძრავი ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, მასზედ, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადასცეს ქობულეთში, აბაშიძის ქუჩა N128-ში მდებარე 11810.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები: N01/0 და

N02/0 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №20.42.09.350) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით.

3. ამ განკარგულების გამოცემიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღის ვადაში, შპს „კრწანისის პარკის" (ს/კ 404470185) წილის 100% კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (როგორც წილი, ასევე საწარმოს კაპიტალში რიცხული ქონება), ამ განკარგულების გამოცემის დღისთვის არსებული კაპიტალის უცვლელად, გადმოეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

5. ამ განკარგულების, პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტები ძალაში შევიდეს, ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისთანავე.

6. ამ განკარგულების მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტები ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ღარიბაშვილი

პრემიერ - მინისტრი